ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 163
(5713)

18

1976 წ.
აგვისტო,
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

დაჯილდოება

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების მიზნით გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის, ფიზკულტურელის დღესთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დააჯილდოვა:

საპატიო სიგელებით

1. კ. ლომინაძე — საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის თავმჯდომარე
2. ი. გომერი — პენსიონერი, ფიზკულტურის საზოგადოებრივი მუშაკი
3. თ. მიქაელიანი — თბილისის სპორტკომიტეტის ინსტრუქტორი
4. ა. ხინჩაკაშვილი — თბილისის სპორტკომიტეტის ინსტრუქტორი
5. ო. დადუნაშვილი — „შრომითი რეზერვების“ უფროსი მწვრთნელი ველოსპორტში
6. ი. ქოიავა — თბილისის № 11 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი
7. ა. კობაიძე — წითელი წყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს წევრი
8. შ. ჩანგელია — ზუგდიდის „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარე
9. პ. მიქაძე — სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი, სპორტკლუბ „ლელოს“ გამგეობის თავმჯდომარე, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს წევრი; საქართველოს სსრ დამსახურებული პედაგოგი
10. ს. გურგენიძე — საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის ფიზკულტურის მასწავლებელი
11. ს. სარხოიანი — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მაგიდის ჩოგბურთში
12. ე. სოლომონია — № 36 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი, სასწავლებლის ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარე
13. ს. მოსესოვი — ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის დირექტორი
14. ვ. კერესელიძე — სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი, სპორტკლუბ „უშბის“ წევრი
15. გ. დვალი — სპორტკლუბ „ფეიქრის“ ინსტრუქტორი
16. ვ. ნახაპეტოვი — თბილისის № 3 „დინამოს“ ფიზკულტურული კოლექტივის პასუხისმგებელი მდივანი
17. ა. მხეიძე — თბილისის სანიჩბოსნო ბაზის დირექტორი
18. ნ. კუნჭულია — ბათუმის „დინამოს“ ფიზკულტურული კოლექტივის პასუხისმგებელი მდივანი
19. კ. გეგელაშვილი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის მინისტრის პირველი მოადგილე
20. ზ. ჯოხიძე — რესპუბლიკის ნაკრები გუნდების დისპანსერიზაციის განყოფილების გამგე
21. ა. მაჭავარიანი — ორჯონიკიძის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე
22. ა. სახიევი — თელავის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე
23. გ. ხიდაშელი — თბილისის 148-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

სიგელებით

1. ს. ბაჟანოვი — „შრომითი რეზერვების“ საორგანიზაციო მუშაობის განყოფილების ინსპექტორი
2. ე. აზიზოვა — თბილისის № 36 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ფიზაღზრდის ხელმძღვანელი
3. დ. თათეიშვილი — საზოგადოებრივი მასწავლებელი
4. ს. ბერძენიშვილი — „შრომითი რეზერვების“ უფროსი მწვრთნელი კრივში
5. ნ. კალინინი — „შრომითი რეზერვების“ სპორტსმენი, ბატუტზე მხტომელი
6. ბ. ქემოკლიძე — „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი
7. ო. ბუდნიკოვი — „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე
8. ს. ლურსმანიშვილი — ჭიათურის „სპარტაკის“ საბჭოს თავმჯდომარე
9. ო. გულისაშვილი — „სპარტაკის“ საბჭოს მწვრთნელი ძიუდოში
10. უ. მოსეშვილი — სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების სპორტკლუბ „უშბის“ ინსტრუქტორი
11. რ. ლაზიშვილი — ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის ინსტრუქტორი
12. კ. უკლება — „განთიადის“ თერჯოლის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე
13. ა. ლომაძე — „განთიადის“ მახარაძის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე
14. ვ. კოსმაჩევსკი — თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე
15. რ. ჯიბოევი — ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტკლუბის თავმჯდომარე საზოგადოებრივ საწყისებზე
16. ნ. ახალაძე — „დინამოს“ აჭარის საბჭოს ინსტრუქტორი
17. თ. ლობჟანიძე — თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველოს საჩოგბურთო კორტების დირექტორი
18. ტ. სალდაძე — გეოლოგთა რესპუბლიკური პროფკავშირის ინსტრუქტორ-მეთოდისტი
19. პ. ათაბეგოვი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის თავმჯდომარე საზოგადოებრივ საწყისებზე
20. ე. სიხარულიძე — საქართველოს ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდის ექიმი
21. ტ. ლექავა — თბილისის № 1 საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერის ფიზიოთერაპიული კაბინეტის გამგე
22. ც. შარაშიძე — თბილისის № 1 საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერის რენტგენის კაბინეტის გამგე.
23. ტ. ბერიძე — თბილისის № 1 საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერის ქირურგიული კაბინეტის გამგე
24. მ. მარგველაშვილი — ბავშვთა და მოზარდთა საექიმო კონტროლის კაბინეტის გამგე
25. ა. კაპიტონოვი — საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის მასაჟისტი
26. ი. მანჟუკოვი — რესპუბლიკის ნაკრები გუნდების საექიმო ფიზკულტურის რესპუბლიკური დისპანსერის მასაჟისტი
27. ი. პაპიაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპორტული მედიცინის უფროსი ინსპექტორი
28. ო. ჯებაშვილი — რუსთავის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე
29. ა. იორდანიშვილი — დუშეთის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე
30. ო. კიშინსკი — მახარაძის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე
31. ვ. მიშენკო — სოხუმის „დინამოს“ № 13 ფიზკულტურული კოლექტივის პასუხისმგებელი მდივანი
32. ნ. მატიენკო — თბილისის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი.
33. ი. ფავლენიშვილი — თბილისის 22-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

• • •

საქართველოს სპორტკომიტეტმა მონრეალის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელის, ძიუდოისტ რ. ხარშილაძის მომზადებისთვის სიგელით დააჯილდოვა მისი მწვრთნელი ს. ჩიტაშვილი.

რუსთაველ სპორტსმენთა ზეიმი

ფიზკულტურელის საკავშირო დღეს რუსთავში ბევრი საინტერესო ღონისძიება გაიმართა.

ლენინის სახელობის მოედანზე მოეწყო „ქალაქის რკალი“ ველორბოლაში. ხუთიდან ოთხი საშუალედო ფინიში მოიგო და I ადგილი დაიკავა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა ვ. ვარსიმაშვილმა. II ადგილი წილად ხვდა სპორტის ოსტატობის კანდიდატს, № 3 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე გ. ერდმანს, ხოლო III — მე-11 საშუალო სკოლის მოსწავლე ვ. გულიაევს. გამარჯვებულ სპორტსმენს თასი და სიგელი გადასცა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობისა და მშდ კომპლექსის განყოფილების უფროსმა გ. მძელურმა.

რუსთავის ტბაზე ჩატარდა ნიჩბოსანთა შეჯიბრება 500-მეტრიან დისტანციაზე. ერთადგილიანი ბაიდარით გაიმარჯვა ს. იგნატიევმა, ორადგილიანით — ზ. კალატოზიშვილისა და ს. იგნატიევის წყვილმა. ერთადგილიანი კანოეებით შეჯიბრებაში პირველი იყო ა. რეპუხოვი, ორადგილიანით — შ. კურტანიძე და ჯ. ქუსიკაშვილი. აკადემიურ ნიჩბოსნობაში წარმატებას მიაღწიეს ი. ქელეხსაევმა, ვ. პატაენკომ, ვ. ვასილიევმა.

კულტურისა და დასვენების პარკში ათობით წყვილი ეჯიბრებოდა ერთმანეთს მაგიდის ჩოგბურთში. სპორტკლუბ „ფოლადის“ დარბაზში ამხანაგური მატჩი გამართეს მეტალურგიული ქარხნის პირველობაში გამარჯვებულებმა — მეტალურგიულ მოწყობილობათა შემკეთებელი საამქროს (პირველი ჯგუფი) და „იუჟენერგოჩერმეტის“ სამმართველოს (მეორე ჯგუფი) ფრენბურთელებმა. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს შემკეთებლებმა.

მთელ დღეს გაგრძელდა ქალაქის პირველობის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ ქარხნების გუნდები.

რ. გაბრიჭიძე.

• • •

სურათებზე: ზეიმის ამსახველი მომენტები; ქვევით, მარცხნივ — ველორბოლაში გამარჯვებული სპორტის ოსტატი ვ. ვარსიმაშვილი.

ავტორის ფოტოები.

ფიზკულტურელის დღის აღსანიშნავად

230 სპორტსმენის მონაწილეობით

გორის რაიონის სპორტკომიტეტის თაოსნობით ნაჭარმაგევის სპორტულ ბაზებზე მოეწყო ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი ზეიმი. პროგრამაში სპორტის შვიდი სახეობა შედიოდა. სარბიელზე გამოვიდა 11 გუნდის 230 სპორტსმენი.

ერთადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში პირველობა სასათბურე კომბინატის გუნდმა მოიგო. ჭაბუკებში გუნდური I ადგილი კარალეთის სოფლის მეურნეობის გუნდმა მოიპოვა, პირად ასპარეზობაში ყველას აჯობა დ. მარტიაშვილმა. 100 მეტრზე ცურვაში ფინიშთან პირველი იყო სასათბურე კომბინატის გუნდი, ხოლო პირად ჩათვლაში დ. გიუტაშვილმა იმარჯვა.

ლახტში ჩემპიონობა შინდისის სოფლის მეურნეობის გუნდმა მოიპოვა. ქართულ ჭიდაობაში საუკეთესო იყო ზეღდულეთის კოლმეურნეობის კოლექტივი. კალათბურთში შინდისელებმა იმარჯვეს, ფრენბურთში კი ტოლი არავის დაუდეს ტყვიავის კოლმეურნეობის სპორტსმენებმა.

საერთო გუნდური I ადგილი მოიპოვა სასათბურე კომბინატის გუნდმა (დირექტორი ზ. ცქიტიშვილი, ფიზკულტურის მეთოდისტი ვ. ყაუტაშვილი).

ე. კოშაკაძე,
გორის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

მავნე ტრადიციებთან საბრძოლველად

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ბოლო წლებში დიდი მუშაობა გასწია მშრომელთა შეგნების გაღრმავების, მათი იდეურ-მორალური დონის ამაღლებისთვის. საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ, პლენუმებმა, რესპუბლიკური აქტივის კრებებმა და იდეოლოგიის დარგში განხორციელებულმა სხვა მნიშვნელოვანმა ღონისძიებებმა გადაწყვიტა ისეთი პრობლემური საკითხები, რომლებმაც აღადგინა ცხოვრების ლენინური ნორმები და სწორ კალაპოტში ჩააყენა მშრომელთა აღზრდის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდის საკითხი.

ამ წერილში გვინდა შევეხოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა გულთან ახლოს მიიტანეს. სადირექტივო ორგანოს ეს მნიშვნელოვანი მითითებანი დროული და უაღრესად საყურადღებოა.

პრესა, რადიო, თეატრი, ტელევიზია ფართოდ გამოეხმაურნენ ამ დადგენილებას. გამოქვეყნდა მრავალი წინადადება, მაგრამ ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი დღემდე არ არის განხილული ფიზიკური კულტურის თვალთახედვით. ეს უკანასკნელი კი რელიგიამ საკმაოდ გაძარცვა საკუთარი დღესასწაულების გასამდიდრებლად.

ადამიანის ცხოვრებაში ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა ოდითგანვე განსაზღვრული რიტუალით აღინიშნებოდა. ზოგიერთი მათგანი მტკიცედ დამკვიდრდა ხალხის ყოფაში, მისი აუცილებელი ატრიბუტი და ცხოვრების თანამგზავრი გახდა. ასე იქმნებოდა და ეყრებოდა საფუძველი ტრადიციას.

საზოგადოება ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ ტრადიციებსა და მთელ რიგ ზნე-ჩვეულებებშია ისტორიულად ასახული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური პირობები, ხალხთა შორის ურთიერთკავშირი, მათი დამოკიდებულება გარემოსთან.

ტრადიციები ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფის თავისებურებასთან დაკავშირებული ჩვეულებების, ადათების, შეხედულებებისა და სხვა, როგორც წესი, საუკეთესო თვისებათა კონგლომერატია. იგი ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურის კუთვნილებაა, ხოლო მისი საწყისები წმინდა ხალხურია. სწორედ ტრადიციების მეშვეობით მტკიცდებოდა და ვითარდებოდა წინა თაობის გამოცდილებანი, ქცევის მორალური მოთხოვნები, რომლებიც სხვადასხვანაირად იყო განსახიერებული საზოგადოებრივი შეგნებულობის სხვადასხვა ფორმაში.

ვფიქრობთ, რომ ხალხური ტრადიციები უფრო მეტად დადებითი იყო. მერე ზოგმა მახინჯი ფორმა მიიღო, ზოგი რელიგიამ მიითვისა, ზოგი წმინდა კლასობრივ მოვლენად იქცა და ა. შ.

ამ წერილის მიზანია სწორად მივუდგეთ ფიზიკური კულტურის ტრადიციების საკითხს, არ გამოვიტანოთ ნაჩქარევი დასკვნები. ყველაფერი კი არ უნდა უარვყოთ, რაც ძველია, არამედ შევარჩიოთ მათგან პროგრესული და შევახამოთ ისინი ახალ სოციალისტურ ტრადიციებთან, რადგან ეს პრობლემები უშუალოდ დაკავშირებულია ფიზიკური კულტურის მასობრიობასთან, განსაკუთრებით სოფლად. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მეცნიერულად შევისწავლოთ ტრადიციებისა და ცალკეულ წეს-ჩვეულებათა წარმოშობის საკითხები, მათი განვითარების ეტაპები, დადებითიდან უარყოფითში (ან პირიქით) გადაზრდის პირობები, განსაკუთრებით უარყოფითი ტრადიციების შემორჩენის, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — მათი გაღრმავების ან სახეცვლილების კონკრეტული მიზეზები, რათა მათთან ბრძოლა უფრო რეალური და ეფექტური იყოს.

ყოველივე ამას საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. ამ მნიშვნელოვან დოკუმენტში პრინციპულადაა მითითებული, რომ ჩვენს სოციალისტურ ყოფაში დაუშვებელია რაიმე ისეთი ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების მოთმენა, რომლებიც მორალურად თუ მატერიალურად ზიანს აყენებენ ცხოვრების სოციალისტურ წესს. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას, მით უმეტეს ხალხური ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების აკრძალვას. ადამიანი ვერ იარსებებს სათანადო ტრადიციებისა და რიტუალების გარეშე.

ადამიანის ცხოვრების ბუნებრივი თანამგზავრი იყო და არის მთელი რიგი მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ზნე-ჩვეულებები და ტრადიციაში გადაზრდილი ქცევის ფორმები, მათი კონკრეტული მაგალითები. ამათ რიცხვს, ბუნებრივია, მიეკუთვნება როგორც დადებით, სასიამოვნო ამბებთან, ისევე არასასიამოვნო შემთხვევებთან დაკავშირებული რიტუალები.

ჩვენ ვალდებული ვართ თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ, შემოვინახოთ და შეძლებისდაგვარად გავაღრმაოთ ფიზიკური კულტურის საუკეთესო ტრადიციები, უფრო მეტად ჩავაყენოთ ისინი თანამედროვე საზოგადოების, ხალხთა მასების სამსახურში, მომავალ თაობას გადავცეთ კიდევ ერთხელ შემოწმებული და გაცხრილული, ხალხთა ყოფაში შემორჩენილი და მასთან შესისხლხორცებული ტრადიციები, ანუ მხოლოდ ის ტრადიციები, რომლებიც პროგრესულია და კომუნიზმის აქტიური მშენებლის — ახალი ადამიანის შემოქმედებით ცხოვრებას უფრო გაალამაზებს, საინტერესოსა და სისხლსავსეს გახდის. პროგრესული ტრადიციების აღდგენა და დანერგვა საბჭოური ფიზიკური კულტურის ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი ნაცადი გზაა. თანამედროვე ყოფა ინტერნაციონალურია თავისი ბუნებით და კულტურის ყველა სფეროშია შეჭრილი. იქ, სადაც ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმე სწორად არის დაყენებული, ფიზიკური აღზრდის ადგილობრივი საშუალებანი ორგანულად უნდა იყოს შეხამებული საყოველთაოდ ცნობილთან. მართლაც, ბევრგან შემოტანილი თამაშობანი ისეა შერწყმული ადგილობრივ ყოფასთან, ისეა შესისხლხორცებული, რომ ტერმინების მიხედვითაც კი ვერ გაარჩევ. ეს არ არის შემთხვევითი. თვით ყოფა, რომელშიც ხორცშესხმულია მეგობრობის გრძნობა, მთლიანად არის მოსპობილი შუღლი და მტრობა, ხელს უწყობს ურთიერთგაგებას, აქედან გამომდინარე კი — კულტურის ელემენტებით დაახლოებასა და ურთიერთგამდიდრებას. ეს მნიშვნელოვანი პრობლემა ბურჟუაზიულ სამყაროში ეროვნული კულტურების ძალდატანებითი და ცალმხრივი ასიმილაციის გზით ხორციელდება.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის, რომ ეროვნული სახეობები — ფიზიკური აღზრდის ქმედითი საშუალებები — არ უნდა მიეცეს დავიწყებას, ისევე როგორც არ უნდა დაიკარგოს ყოველი ხალხის დადებითი ისტორიული გამოცდილება, რათა არ შენელდეს პრაქტიკული მეცადინეობების მასტიმულირებელი მომენტები, აქედან გამომდინარე კი არ დაეცეს ვარჯიშისადმი ინტერესი. ესაა ამ პრობლემის ერთ-ერთი მთავარი მხარე, რომლის დამუშავება და პრაქტიკაში დანერგვა ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციების ვალია.

ტრადიციებმა და სხვადასხვა ზნე-ჩვეულებებმა დიდი როლი შეასრულა ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაში, მისი „მეობის“ დამკვიდრებისთვის ბრძოლაში, აქედან კი — საერთოდ საზოგადოების განვითარებაში. შრომისმოყვარეობა, ფიზიკური წრთობა, თავისუფლებისთვის ბრძოლა, სხვა ადამიანთა, განსაკუთრებით უფროსების, აღმზრდელის, ქალის პატივისცემა, მეზობლებთან მჭიდრო ურთიერთობა, სტუმართმოყვარეობა — ისტორიულად ჩამოყალიბებული საუკეთესო ტრადიციებია. სწორედ ეს ტრადიციები უზრდიდა ჩვენს ხალხს სამშობლოს ერთგულ ვაჟკაცებს. ზოგი ფიქრობს, რომ ტრადიცია ის არის, რომელსაც ადამიანისთვის მხოლოდ სიკეთე მოაქვს. ეს არ არის სწორი. ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ უარყოფითი ტრადიციების არსებობას. სამწუხაროდ, ეს ფაქტია. ადამიანთა საზოგადოებაში არსებობს არა მარტო დადებითი, არამედ უარყოფითი მოვლენებიც, რომელთა ნაწილი თავის დროზე ტრადიციად იქცა. სულ სხვაა, რომ ყველა ჩვენგანი ერთნაირად მკაცრად უნდა ებრძოდეს ყოველგვარ დრომოჭმულ, მიუღებელ, მავნე, მანკიერ კუთხურ ტრადიციებს, ტრადიციებს, რომლებიც სახელს უტეხენ ხალხს, აფერხებენ საზოგადოების განვითარებას.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საუკუნოვანი ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა ადვილი არ არის. ამიტომაა, რომ პრინციპული დებულებები პირველ ყოვლისა უნდა გადაწყდეს კულტურისა და ყოფის ყველა დარგის მიმართ და შემდეგ თანდათანობით გაიშალოს ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ეს ბრძოლა უნდა წარმოებდეს სისტემატურად, მეთოდურად, აქ კამპანიურობა არ გამოგვადგება.

პროგრესული ტრადიციებისადმი ჩვენი დამოკიდებულება განისაზღვრება ვ. ლენინის დებულებით იმის თაობაზე, რომ წარსულის საუკეთესო მიღწევების გამოყენების გარეშე არ შეიძლება პროლეტარული კულტურის შექმნა. უნდა გვახსოვდეს, რომ ტრადიციები უძრავი არ იყო. ისინი სოციალურ-ეკონომიური პირობების შესაბამისად ვითარდებოდა, ზოგი, პირიქით, ისპობოდა, ხოლო საუკეთესო ტრადიციები ამჟამადაც ხალხს ემსახურება.

დღეს რელიგიური გადმონაშთები ძირითადად დაძლეულია. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ასეთმა რიტუალებმა და წეს-ჩვეულებებმა ნაწილობრივ დაკარგა უშუალო რელიგიურობა და დღეს დროსტარების თავისებურ საშუალებად იქცა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დღესასწაულებში განსაზღვრული ადგილი ეკავა და დღესაც უკავია ფიზიკურ ვარჯიშებს (ჭიდაობას, რბენას, ხტომებს, დოღს, სროლას, მოძრავ თამაშებს), რომელთა შინაარსი გადატვირთული იყო რელიგიური ელემენტებით, ნათელი გახდება იმის მიზეზები, თუ რით იყო გამოწვეული მონაწილეთა ტრავმები და მსხვერპლიც. ამ დღესასწაულებს არავინ აქცევდა ყურადღებას მილიციის მუშაკებს გარდა, რომლებიც მხოლოდ წესრიგის დაცვისკენ მოუწოდებდნენ ხალხს, ხოლო შეჯიბრებათა მონაწილეების მდგომარეობა მათ არ აინტერესებდათ.

ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში რელიგია სახელმწიფოსგან გამოყოფილია, ოფიციალურად უფლება არა გვაქვს ჩავერიოთ რელიგიური დღესასწაულების ჩატარებაში. მაგრამ ეს დღესასწაულები ხელს უშლის დასვენებას, მის სწორ ორგანიზაციას და ამით ასუსტებს სოციალისტური საზოგადოების სულისკვეთებით მასების აღზრდის საქმეს.

უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება დაეთმო ხალხური დღესასწაულების მოწესრიგებას, მათს ჩაყენებას ადამიანის ჯანმრთელობის, აქტიური დასვენება-გართობის სამსახურში.

პრესაში გამოქვეყნდა ბევრი წერილი, რომლებშიც დასმული იყო სახალხო დღესასწაულების ჩატარების საკითხები. ასე შეიქმნა ახალი დღესასწაულები — ყვავილებისა, გაზაფხულისა, მწყემსისა, ვაჟაობა, შოთაობა და მრავალი სხვა.

აღორძინდა ბევრი მივიწყებული და შეიქმნა ასევე ბევრი ახალი ტრადიცია. ბევრი მათგანი საერთო-სახალხო დღესასწაულად იქცა. საჭიროა თამამად დავნერგოთ თანამედროვე ყაიდაზე გადამუშავებული ჩვევები, წესები, სხვადასხვა რიტუალი. ძველიდან ნათელი ელემენტების აღება და მათი სწორად გამოყენება პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ეს მთლიანად ეხება ფიზიკურ კულტურას. არ შეიძლება შევურიგდეთ იმ ამბავს, რომ რელიგიური დღესასწაულები ჯერ კიდევ იზიდავს საზოგადოების განსაზღვრულ ნაწილს. ასეთი დღესასწაულების ძირითადი პროგრამა ლოთობაა, რაც ხშირად სისხლის სამართლის დანაშაულში გადაიზრდება ხოლმე.

წინათ ასე იყო: ყველა სოფელს ჰქონდა თავშეყრის ადგილი. აქ თავისუფალ დროს იკრიბებოდა ხალხი, საუბრობდნენ საჭირბოროტო საკითხებზე, იმართებოდა ცეკვა-თამაში. ახალგაზრდები უფროსების მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ, ბავშვები იძენდნენ სხვადასხვა სასარგებლო ჩვევას, პირველ ყოვლისა სამხედრო-ფიზიკური ხასიათისას. ეს იყო თავისებური სკოლა. აქ ეყრებოდა საფუძველი ახალგაზრდების მსოფლმხედველობას.

სამწუხაროდ, სოფლებში ასეთი თავშეყრის ადგილები გაუქმდა და ფიზიკური აღზრდის ბევრი საშუალებაც დავიწყებას მიეცა.

ჩვეულებათა სახით დღემდე შემოგრჩა ბევრი მავნე გადმონაშთი, რომლებიც აფერხებენ სოციალისტური კულტურისა და თანაცხოვრების განვითარებას. რელიგია ყოველთვის თავის სასარგებლოდ იყენებდა ხალხის მიერ შექმნილ სანახაობებს. ეს მისი ტაქტიკა იყო, რათა პოპულარობა მოეხვეჭა მოსახლეობაში. რელიგიური დღესასწაულების დროს ხშირად ტარდებოდა შეჯიბრებები სხვადასხვა სახის ფიზიკურ ვარჯიშებში (სიმძიმეების აწევაში, ტყორცნაში, სროლაში, ხტომაში...), მაგრამ ფიზიკურ ვარჯიშს ამით არ დაუკარგავს პედაგოგიური მნიშვნელობა. ამ წეს-ჩვეულებების საფარით ხალხი ეწაფებოდა თამაშებს, რომლებსაც საფუძვლად ედო მოძრაობა, მოქმედება. ეს ადამიანებში ნერგავდა ყოველდღიური ცხოვრებისთვის აუცილებელ ფიზიკურ თვისებებს.

ხალხში მეცნიერული ცოდნის შეჭრამ თანდათან დაუკარგა ფასი რელიგიურ იდეოლოგიას. ამიტომ ამ დღეობებმაც დაკარგა რელიგიური მნიშვნელობა და მხოლოდ გარეგნული მიმზიდველობა შემოინახა. იგი გადაიქცა ისეთ შეკრებილობად, სადაც მთავარია ქეიფი ყველა თავისი სავალალო შედეგით.

საქმე მარტო ის კი არ არის, რომ რელიგიური დღეობები მოვსპოთ და ამით ყველაფერი დავამთავროთ. თამამად უნდა დავამკვიდროთ ახალი დღეობები, სახალხო თუ საოჯახო ზეიმები. მიზნის მისაღწევად ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ფიზიკური კულტურა და სპორტი.

მტკიცედ გვჯერა, რომ ფიზკულტურა და სპორტი იმდენად ძლიერი და პოპულარულია დღეს, იმდენად მიმზიდველია მისი სანახაობითი მხარე, რომ იგი უთუოდ გადაიბირებს ხალხს, თავის წვლილს შეიტანს უშუალოდ მავნე ტრადიციებთან ბრძოლაში.

ხომ შეიძლება ჩავატაროთ სრულწლოვანობის დღეობა? ოღონდ, რა თქმა უნდა, საჭიროა მოვიფიქროთ, როდის აჯობებს ამ დღეობის გამართვა-საშუალო სკოლის დამთავრებისას, პასპორტის აღებისას, თუ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისა და სამკერდე ნიშნის მიღებისას. ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ახალგაზრდა როდის დაიმსახურებს საზოგადოების ყურადღებას, როდის იქნება მზად შემოქმედებითი შრომისთვის, ოჯახის მოწყობისთვის, სამშობლოს დაცვისთვის. ლაპარაკი გვაქვს ძველი რელიგიური წესის — ინიციაციის თანამედროვე სოციალისტურ დღეობად გარდაქმნაზე.

კარგი იქნება თუ რელიგიური დღეობების დღეებში ძირითადი დრო დაეთმობა საინტერესოდ ორგანიზებულ სპორტულ შეჯიბრებას ან სხვა ჯანსაღ გართობას. ჩვენ უნდა შევინახოთ და განვავითაროთ დადებითი ხალხური ტრადიციები ფიზიკური კულტურის დარგში. ეს იქნება ნამდვილი, მოქმედი პროპაგანდა რელიგიის წინააღმდეგ.

ფიზიკურ კულტურასა და სპორტში, ეთნოგრაფიასა და სხვა მომიჯნავე დარგებში მომუშავე საბჭოთა სპეციალისტებმა საქმიანობა უნდა წარმართონ იქითკენ, რომ გამოიკვლიონ ხალხების ყოფაში შემორჩენილი ფიზიკური ვარჯიშები და მოძრავი თამაშები, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც რელიგიურ დღეობებზე ასრულებენ, დახვეწონ და თანამედროვეობას შეუფარდონ. ასეთ ღონისძიებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი დაკავშირებულია სოფლად ფიზიკური კულტურისა და სპორტის უფრო მტკიცედ დანერგვასთან რა დასამალია, რომ სოფლად მუშაობა ამ დარგში არ დგას სათანადო სიმაღლეზე.

ხალხური ფიზიკური ვარჯიშებისა და მოძრავი თამაშების უმრავლესობა მარტივია, მაგრამ კოლორიტული და მიმზიდველი. ხალხურ სახეობებში სისტემატურმა შეჯიბრებებმა შექმნა თავისებური ტრადიცია, რომელიც ხასიათდება ცხოველმყოფელობით, სიბრძნითა და უშუალობით. მე-19 საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ს. მესხი სწერდა... „რა დააშავა ჩვენებურმა ჩოხამ, ახალუხმა, ქუდმა, თავსაკრავმა? რითია სხვა თამაშებზე ნაკლები ჩვენი ბურთაობა, ჭიდაობა, ფალავანდობა, ჯირითობა? ცვლილება გვჭირდება, მაგრამ ისეთი კი არა, რომელიც [illegible] ჩვენს გაუფერულებას, ჩვენს გაქრობას მოიტანს“.

რელიგიური დღეობების მოდერნიზება საშუალებას მოგვცემს განვავითაროთ სპორტის არა მარტო ადგილობრივი, ხალხური, არამედ საერთაშორისო სახეობებიც, განსაკუთრებით ცენტრიდან დაშორებულ სოფლებში. ხალხს უნდა დაუმტკიცოთ, რატომ არის საჭირო მის ცხოვრებაში ახალი ადათების შემოღება. ამასთან, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ბევრი რამ, რასაც ახლა რელიგიურს ვუწოდებთ, თავის დროზე წმინდა წყლის ხალხური შემოქმედება იყო, რომელიც მხოლოდ შემდეგში ჩააყენა ეკლესიამ თავის სამსახურში.

ახალი ადათები და რიტუალები ხალხს უნდა მივაწოდოთ ისე, რომ ისინი შეისისხლხორცოს, როგორც თავისი ცხოვრების ორგანული ნაწილი. ამ გზით ეს ადათები და რიტუალები ინტერნაციონალური და ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება.

აღზრდის შესაძლებლობანი ამოუწურავია. საჭიროა მხოლოდ მათი ჭკვიანურად გამოყენება. ამასთან, უნდა შევეძლოს საჭირო შემთხვევაში მათს შინაარსში სათანადო კორექტივების შეტანა.

ამ წერილს, რასაკვირველია, არა აქვს პრეტენზია, რომ სპორტულ სანახაობათა „რეცეპტი“ შეადგინოს. რელიგიური დღესასწაულებისთვის სახალხო ზეიმების დაპირისპირება სტიქიურად კი არ უნდა მოხდეს, არამედ წინასწარ მოფიქრებულად. ეს ღონისძიებები ადგილობრივ პარტიულ ორგანოებთან შეთანხმებით უნდა დაამუშაონ ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა და სპორტულ კალენდარში დაამკვიდრონ. პროგრამა უნდა შეირჩეს ადგილობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით და შემდეგ თანდათანობით გაფართოვდეს, მათ შორის კლასიკური სახეობებითაც. სასურველია ღონისძიებების მოწყობა პირველ ყოვლისა, იმ სახეობებში, რომლებიც რაიონში უფრო პოპულარულია შეიძლება ამ დღისთვის კვალიფიციურ სპორტსმენთა მოწვევა და საჩვენებელი გამოსვლების გამართვა, საჭიროა შეჯიბრების ფართო რეკლამირება, ადგილობრივი გაზეთებისა და რადიოგადაცემების გამოყენება.

ასეთი ხასიათის შეჯიბრებების შემდეგ ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უნდა შეაჯამონ მათი შედეგები, რა დონით მიაღწია მიზანს ღონისძიებამ, სად გვქონდა შეცდომები, რათა შემდეგისთვის ყველაფერი იქნეს გათვალისწინებული.

სპორტის ხალხური სახეობები ძირითადად შესწავლილი და დამუშავებულია. საქართველოს სპორტკომიტეტს შედგენილი აქვს ფიზიკური აღზრდის ხალხურ-ეროვნული საშუალებების განვითარების ვრცელი გეგმა. სამწუხაროდ, ადგილობრივი ფიზკულტურული ორგანიზაციები მას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, მაშინ, როცა მასობრიობის მიღწევა განსაკუთრებით სოფლად, უამისოდ წარმოუდგენელია.

ახალგაზრდების შეგნებაში მავნე ტრადიციები ბავშვობიდანვე უნდა აღმოვფხვრათ, თორემ მერე გვიან იქნება.

ამ საქმეში ჩვენ, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს დიდი წვლილის შეტანა შეგვიძლია. ჩვენს ხელშია სანახაობათა ის ნაწილი, რომელსაც ხალხი თავდავიწყებამდე ეტანება.

ვ. ელაშვილი.

● ●

რედაქციისგან: პრობლემა, რომელსაც ვ. ელაშვილის წერილი ეძღვნება, რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად, ძალზე მტკივნეული და აქტუალურია ჩვენი ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისთვის, ამ დარგის ყველა სპეციალისტისთვის. რედაქციას იმედი აქვს, რომ ისინი ფართოდ გამოეხმაურებიან ამ წერილს, გამოთქვამენ თავიანთს აზრს, შემოგვთავაზებენ კონკრეტულ წინადადებებს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს საშვილიშვილო ამოცანის წარმატებით გადაჭრას — დრომოჭმული, ერის შემარცხვენელი, მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებათა სამუდამოდ აღმოფხვრას, მათ ნაცვლად კი ჩვენი თანამედროვეობისთვის ყოველმხრივ მისაღები და შესაფერი, როგორც ფორმით, ისე შინაარსით მდიდარი, ლამაზი და საინტერესო სპორტული სანახაობების დამკვიდრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდენტთა მესამე, შრომითი სემესტრი

შრომა, დასვენება, სპორტი

მახარაძის რაიონის სოფელ მერიის საშუალო სკოლის ოთხსართულიანი შენობის აგება მშენებლობის სამინისტროს ბათუმის № 5 სამშენებლო ტრესტის მახარაძის № 5 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი მ. გობრონიძე) აქვს დავალებული. სკოლა 1040 მოსწავლისთვისაა გათვალისწინებული და 1 სექტემბრისთვის მზად უნდა იყოს.

მშენებლობაზე რომ მივედით, ცრიდა, მაგრამ საქმეს თავს არავინ ანებებდა.

— მუშაობა უთენია იწყება და გვიან ღამემდე გრძელდება, — გვითხრა სამუშაოთა მწარმოებელმა ზურაბ გეგიაძემ. — გადაწყვეტილი გვაქვს მშენებლობა 20 აგვისტოსთვის დავამთავროთ. ამ საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა 50-კაციანი რაზმი ომარ ლებანიძის ხელმძღვანელობით. სტუდენტები აქ მესამე შრომით სემესტრს გადიან, ორ ცვლად არიან დაყოფილი და მკლავმოუღლელად მუშაობენ უფროსების მხარდამხარ.

ახალგაზრდები 4 ივლისს ჩამოვიდნენ და ძველი სკოლის შენობაში დაბინავდნენ. თავიანთ რაზმს მათ „მერია-76“ დაარქვეს და მეორე დღიდანვე ჩაებნენ შრომის ფერხულში.

დღე დღეს ემატებოდა და აგური აგურს. კედლები მაღლა მიდოდა. სტუდენტთა რვა ბრიგადა დამკვრელურად შრომობდა ყველა უბანზე — აგურის წყობა იქნებოდა, ბეტონის ჩასხმა თუ სხვა სახის სამუშაოები. თავი გამოიჩინეს ბრიგადებმა, რომლებსაც ნ. მასხულია, ხ. არუთინიანი და ვ. კვირიკაშვილი ხელმძღვანელობდნენ. სტუდენტებიდან უნდა გამოვყოთ აგრეთვე გ. გელაშვილი, ბ. შაინიანი, შ. ბოჭორიშვილი, შ. ფანგანი, კ. აბელიანი, ა. ტატანაშვილი და სხვები, რომლებიც ყოველდღიურ გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. ისინი არა მარტო მაგალითის მიმცემი არიან სხვებისთვის, არამედ, იცნობენ რა რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულ ინიციატივას — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით“, ყოველმხრივ ცდილობენ მეგობრებსაც დაეხმარონ და მოწინავეთა რიგებში ჩააყენონ.

— მშენებლობაზე კიდევ ერთ კვირას დავრჩებით, — გვეუბნება რაზმის მეთაური ომარ ლებანიძე. — სულ 30 ათასი მანეთის სამუშაოები უნდა შეგვესრულებინა, დღეისთვის კი შესრულებული გვაქვს დაახლოებით 27 ათასი მანეთისა. ცოტა უამინდობამ შეგვიშალა ხელი.

მართლაც, მეხუთე დღეა განუწყვეტლივ წვიმს, რაც ძალიან უშლით ხელს მშენებლებს.

სტუდენტები განსაკუთრებული ენთუზიაზმით მუშაობენ სპორტდარბაზის მშენებლობაზე, რადგან კარგად იციან სპორტის ფასი. ბევრი მათგანი კარგი სპორტსმენიცაა. როგორც რაზმის უფროსმა კომისარმა მალხაზ ჩიტრიკაშვილმა და კომისარმა აღას გევორქიანმა გვითხრეს, ყოველ დილით ტარდება გამაჯანსაღებელი ვარჯიში, ხშირად აწყობენ ამხანაგურ შეხვედრებს ადგილობრივ ახალგაზრდებთან. პუშკინის სახელობის ინსტიტუტის ფიზკულტურელებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მესამე, შრომითი სემესტრის მონაწილე სტუდენტთა საზაფხულო რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით მახარაძეში გამართულ ზონალურ პირველობაში. მშდ კომპლექსის მრავალჭიდში მათ II საპრიზო ადგილი დაიკავეს, ხოლო მინი-ფეხბურთში პირველობა არავის დაუთმეს. იყოჩაღეს სტუდენტმა-სპორტსმენებმა ნ. მასხულიამ, ფ. კისელიოვმა, ბ. შაინიანმა, შ. შარაშიძემ, ვ. დანილოვმა, ს. გვარამაძემ, ჯ. იაძემ და სხვებმა. წარმატებები იმანაც განაპირობა, რომ ჩატარდა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები ბრიგადებს შორის მინი-ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში.

გარდა ამისა, სტუდენტებმა მოაწყვეს ექსკურსია ბათუმში, სადაც დაათვალიერეს დელფინარიუმი და აკვარიუმი, იყვნენ სხვა ზღვისპირა რაიონებშიც. ახალგაზრდებმა კეთილმოაწყვეს წითელი კუთხე, სადაც მნახველის ყურადღებას იპყრობს რაზმის წევრების თავდადებული შრომისა და აქტიური დასვენების ამსახველი ფოტოსტენდი. უშვებენ კედლის გაზეთებს, მოაწყვეს შეხვედრა სოფლის ახალგაზრდებთან.

სტუდენტებისთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლთა სოლიდარობის კვირეული, რომელიც ჩატარდა დევიზით: „ახალგაზრდობა — ანტიიმპერიალიზმი და სოლიდარობა“.

...კიდევ ცოტაც და სტუდენტთა სამშენებლო რაზმის წევრები მშობლიურ ინსტიტუტს დაუბრუნდებიან.

ვ. დანელია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მახარაძე,
სოფ. მერია.

ფოთი — ახალგაზრდა ძალოსანთა მასპინძელი

ფოთში ჩატარდა საქართველოს ტერიტორიული ჩემპიონატი 1959-1960 წლებში დაბადებულ ძალოსანთა შორის.

შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ბევრი მწვრთნელი და სპორტსმენი გულმოდგინედ მომზადებულა ასპარეზობისთვის. არც ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ გულხელდაკრეფილი. მათ დიდი შრომა გასწიეს შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ძალოსნური ფიცარნაგის შეძენა. მთელ რესპუბლიკაში ერთადერთი ფიცარნაგი უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლას აქვს. ჩემპიონატის მონაწილეებმა სწორედ ამ „მოხეტიალე სარბიელზე“ იასპარეზეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ძალოსნობაში ტრადიციულად ძლიერი ქალაქების წარმომადგენლებს მხარში ამოუდგნენ საჩხერელი და ზუგდიდელი სპორტსმენებიც, რომელთაც ხელმძღვანელობენ საქართველოს ნაკრების წევრი, რესპუბლიკის რეკორდსმენი ე. დვალი და სპორტის ოსტატობის კანდიდატი ჯ. მამფორია.

პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა 75 ჭაბუკი. გუნდური I ადგილი თბილისელებმა მოიპოვეს — 1636 ქულა, მეორე იყო ცხინვალის გუნდი — 1373, მესამე — საჩხერის კოლექტივი (704).

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონობა მოიპოვეს კ. ბალათურიამ, დ. ხასაიამ (ორივე — ზუგდიდი), თ. ღლონტმა (მახარაძე), კ. ნარსიამ (ზუგდიდი), ა. ჩიტაძემ (საჩხერე), ა. არუთინოვმა (თბილისი), ვ. ქელეხსაევმა (რუსთავი), თ. ბაქანიძემ (თბილისი), მ. ბაგაევმა (ცხინვალი) და ზ. ნადირაშვილმა (თბილისი).

რ. გურგენიძე,
ძალოსნობისა და ფარიკაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის მწვრთნელი.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

შედეგი: მხნეობა და ჯანმრთელობა

ჩატარდა ტაჯიკეთის ალუმინის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა პირად-გუნდური პირველობა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში. ასპარეზობის მსვლელობის დროს 500-ზე მეტმა მონაწილემ კომპლექსის სამკერდე ნიშნები დაიმსახურა.

— ამ შეჯიბრების მთავარი შედეგი ყველა მონაწილის მხნეობა და ჯანმრთელობაა, — ამბობს ფიზკულტურის საქარხნო საბჭოს თავმჯდომარე ვ. კუპრინი. — მშდ კომპლექსი ხელს უწყობს მუშათა მასობრივად ჩაბმას სპორტში. ახლა ქარხნის ყოველი მეორე მუშა და მოსამსახურე ფრენბურთელი ან ფეხბურთელი, მოჭადრაკე ან მძლეოსანია. ჩვენს საწარმოში სპორტი შრომის ერთგული მეგობარია.

ლ. ჩიგრინი.
(საკდესის კორ.).

რეგარი,
(ტაჯიკეთის სსრ).

შრომასა და სპორტში პირველი

ტაუჩეგის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტიაბრის“ მოსავლის აღების კამპანიის დაწყებისთანავე საუკეთესო კომბაინერთა სიას სათავეში ჩაუდგა ...ორგზის მსოფლიო ჩემპიონი სამბოში არამბი ხაპაი.

მან დროებით გადადო თავისი ყველა საქმე მაიკოპში და მშობლიურ აულ ჯიჯიხაბლს ეწვია, რათა თანასოფლელებს მოსავლის აღებაში დახმარებოდა. მინდვრად კომბაინებით გამოვიდნენ, აგრეთვე, არამბის მამა, კოლმეურნეობის უხუცესი მექანიზატორი იუსუფ ხაპაი, ძმები ასხადი და ხამიდი.

— მოსავლის აღების დაწყებიდანვე არამბი პირველობს კომბაინერთა შორის, — ამბობს კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ი. ჩიჩი. — იგი ყოველდღიურად აჭარბებს ნორმას. არამბის კვალში მიჰყვებიან მამა და ძმა — ასხადი, რომლებიც შესაბამისად მეორე და მესამე ადგილებზე არიან.

კოლმეურნეობის ცენტრში არამბის წარმატების აღსანიშნავად აღმართულია შრომითი დიდების დროშა.

მ. ხუნკაევი,
(საკდესის კორ.).

ჯიჯიხაბლი,
(ადიღეს ავტონომიური ოლქი).

ყველაზე სწრაფი იყო „ლეგენდა“

დამთავრდა სამდღიანი რბოლა ნავებით, რომელიც სამ ეტაპად მოეწყო მარშრუტით: ვლადივოსტოკი — პოსიეტის ყურე — აღმოსავლეთის პორტი — ვლადივოსტოკი.

ასეთი შეჯიბრება შორეულ აღმოსავლეთში პირველად ტარდება. ასპარეზობაში მონაწილეობდა ნავების შვიდი ეკიპაჟი. რბოლა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მოეწყო. იაპონიის ზღვაზე ნისლი იყო ჩამოწოლილი. რამდენიმე მეტრს იქით არაფერი ჩანდა. გზას მხოლოდ კომპასით თუ გაიგნებდი. მიუხედავად ამისა, ეკიპაჟებმა წარმატებით გაართვეს თავი რთულ ამოცანას. გაიმარჯვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის სამეცნიერო ცენტრის ნავმა „ლეგენდამ“ (მესაჭე ი. კუიჩი). მისი შედეგია 65 საათი, 00 წუთი და 45 წამი.

გადაწყდა, რომ ასეთი რბოლები ყოველწლიურად მოეწყოს.

ლ. სუგოტენკო.
(საკდესის კორ.).

ვლადივოსტოკი.

სურხარბანი ბურიატთა შორის პოპულარული სპორტული დღესასწაულია. შეჯიბრების პროგრამაში შედის ცხენოსნობა, რუსული სამცხენიანი ეტლებით რბოლა, მშვილდოსნობა, ეროვნული ჭიდაობა.

ს უ რ ა თ ზ ე: საცხენოსნო-სპორტული შეჯიბრება.

საკდესის ფოტო.

ჩიბურდანიძე — 5,5 ქულა

ტოლიატი, (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირში გაიმართა კიდევ ორი ტური.

VII ტურში მ. ჩიბურდანიძემ დაამარცხა რ. ეიდელსონი (ვიტებსკი), ტ. ვორონოვამ (მოსკოვი) — ე. ელინა (დნეპროპეტროვსკი). ყაიმით დამთავრდა ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — ტ. ზატულოვსკაიას და ლ. ზაიცევა (ორივე — მოსკოვი) — ლ. ინიუშინას (დუშანბე) პარტიები.

გადაიდო ა. დუდკოვა (ხარკოვი) — ე. მიხაილოვას (ლენინგრადი) — ა. გრინფელდ (კალინინგრადი) — ნ. იოსელიანის, ო. პედკო (ჩელიაბინსკი) — ტ. ჟივაევას (ალმა-ათა), თ. ხუგაშვილ — ხ. კრუუსიაუკის (ტალინი) პარტიები.

VIII ტურში იოსელიანმა დაამარცხა ეიდელსონი, ზაიცევამ — კრუუსიაუკი, ჟივაევამ — ინიუშინა. ჩიბურდანიძემ უპირატესობით გადადო პარტია პედკოს წინააღმდეგ.

გადაიდო ზატულოვსკაია — გრინფელდის, მიხაილოვა — კოზლოვსკაიას, ვორონოვა — დუდკოვასა და ხუგაშვილი — ელინას პარტიები.

რვა ტურის შემდეგ ჩიბურდანიძეს 5,5 ქულა აქვს, კოზლოვსკაიას — 5, ჟივაევას — 4,5, იოსელიანს — 4.

ე. გუფელდი.
საერთაშორისო დიდოსტატი.

სსრ კავშირი — ბრაზილია 4:0

ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში სტუდენტთა გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატში დაიწყო ფინალური ტურნირი. საბჭოთა გუნდმა პირველ ტურში მშრალი ანგარიშით დაამარცხა ბრაზილიელები — 4:0.

დაწინაურდა ჰოლანდიელი დიდოსტატი

ამსტერდამში ასუჯრიან შაშში მიმდინარე ოლიმპიურ ტურნირში გაიმართა X ტური. ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. შჩოგოლევი და ჰოლანდიელი დიდოსტატი ხ. ვირსმა. გაიმარჯვა ჰოლანდიელმა და 8 ქულით სატურნირო ცხრილში I ადგილზეა. 7,5-7,5 ქულა აქვთ შჩოგოლევსა და მეორე საბჭოთა დიდოსტატს ა. განტვარგს, რომელმაც ამ ტურში დაამარცხა მ. იზარი (საფრანგეთი).

ჭიათურელ ჭადრაკის მოყვარულთა გულისტკივილი

ბევრი ჭადრაკის მოყვარული ცხოვრობს ჭიათურაში და მათგან ბევრი თანრიგოსანი სპორტსმენიცაა. მათთვის ყოველწლიურად ტარდება სპორტსაზოგადოებათა საქალაქო ჩემპიონატები, მაღაროელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა პირველობები. ჭიათურელმა ჭადრაკის მოყვარულებმა პრესაში რამდენიმეჯერ გამოთქვეს გულისტკივილი იმის გამო, რომ მათ და მოშაშეებს ერთი პატარა ოთახიც კი არა აქვთ სავარჯიშოდ, შეჯიბრებების ჩასატარებლად.

დროა ეს საკითხი მოგვარდეს.

გ. ბარჯაძე
სპორტის ოსტატი,
(ჩვენი კორ.)

ჭიათურა.

ზუგდიდის სასროლეთზე

დოსააფის ზუგდიდის რაიონული კომიტეტის სასროლეთზე ხუთ დღეს გაგრძელდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების მე-13 რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში.

ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 13 ქალაქისა და რაიონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების 65 სპორტსმენმა.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ საერთო გუნდური პირველობა გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ნაკრებმა მოიპოვა — 1322 ქულა. მეორე იყო ზუგდიდის რაიონის ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის კოლექტივი — 1248. III ადგილზე გავიდნენ ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის წარმომადგენლები — 1155.

პირად პირველობაში საუკეთესო იყო ბ. ბექანიშვილი — 287 ქულა. შემდეგ მოდიან ტ. მუზაშვილი (278) და ტ. კლდიაშვილი (სამივე — გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი) — 261.

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები და სპორტსმენები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს დიპლომებით.

ბ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

სტუდენტთა საკავშირო თამაშები

ტრადიციას არ ღალატობენ

ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელი ვაჟები თითქმის ყოველ სტუდენტურ თამაშებში წარმატებით იბრძვიან, ჩემპიონებიც ყოფილან და პრიზიორებიც. ორი წლის წინათ მათ II ადგილი დაიკავეს.

რა ადგილს ითვალისწინებდნენ ჩვენი სპორტსმენები ახლახან დამთავრებულ სტუდენტთა VII საკავშირო თამაშების ფინალურ ტურნირში, რომელიც ოდესაში ჩატარდა? ამ შეკითხვით მივმართეთ გუნდის მწვრთნელს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს ირაკლი ნიკოლაიშვილს, რომელიც ჩვენს მიერ დასმულ კითხვასაც გასცემს პასუხს და ოდესაში საქართველოს წარმომადგენელთა გამოსვლის შესახებაც გვიამბობს.

— როგორც ცნობილია, ჩვენმა გუნდმა თბილისის ზონაში პირველობა მოიპოვა და მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივთან ერთად, რომელიც თბილისის ზონაში ჩვენს შემდეგ მეორე იყო, ოდესის ფინალური ტურნირის საგზური მიიღო, — გვიამბობს ი. ნიკოლაიშვილი, — ოდესაში შეჯიბრების დაწყებამდე ერთი თვით ადრე ვიცოდით ჩვენი მომავალი მეტოქეების ვინაობა და ალბათ ამიტომაც განვიზრახეთ III-IV ადგილებზე გასვლა. მაგრამ, როგორც შეჯიბრებამ გვიჩვენა, ჩვენი გუნდი კარგად იყო მომზადებული, ბიჭები თავს არ ზოგავდნენ და საპატიო მეორე ადგილის დაკავება შევძელით.

— ოდესის ტურნირის მონაწილენი ორ ქვეჯგუფად იყვნენ გაყოფილი. ერთ ქვეჯგუფში გამარჯვებული ხვდებოდა მეორეში II ადგილზე გასულს და პირიქით. ამ შეხვედრებში გამარჯვებულნი ფინალში ხვდებოდნენ ერთმანეთს, ხოლო დამარცხებულნი მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ. ქვეჯგუფში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გარდა გამოდიოდნენ ვილნიუსის უნივერსიტეტის, ვორონეჟის ტექნოლოგიური და ტალინის პოლიტექნიკური ინსტიტუტების გუნდები. ჩვენმა ბიჭებმა ქვეჯგუფში ყველა შეხვედრა „მშრალი" ანგარიშით მოიგეს. ვორონეჟის გუნდი დაამარცხეს 15:9, 15:10, 18:16; ვილნიუსისა — 15:9, 15:4, 15:9; ტალინისა — 15:5, 15:6, 15:9. ტალინელებმა ანგარიშით 3:1 და 3:0 დაამარცხეს ვილნიუსისა და ვორონეჟის კოლექტივები. ამრიგად, ქვეჯგუფში პირველი ადგილი ჩვენ დავიკავეთ, მეორე კი ტალინის გუნდი იყო. მეორე ქვეჯგუფში პირველობა ოდესის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ოდესის გუნდი უმაღლეს ლიგაში გამოდის. მის შემადგენლობაში თამაშობს ხუთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. და თუ არ ვცდები, ამდენივე საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი. აქვე აღვნიშნავ, რომ ოდესელმა ფრენბურთელებმა წლეულს საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვეს. უკრაინელთა შემდეგ მეორე ქვეჯგუფიდან გადამწყვეტ შეხვედრებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა თბილისელთათვის კარგად ნაცნობმა მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდმა, რომელსაც წარსულში ცნობილი ქართველი სპორტსმენი ვაჟა კაჭარავა წვრთნის. უმაღლესი ლიგის ამ კოლექტივს ჩვენი ბიჭები თბილისის ზონის ტურნირში შეხვდნენ და „მშრალი" ანგარიშითაც დაამარცხეს.

ბედმა ერთმანეთის პირისპირ ჩვენ და მოსკოველები ოდესაშიც დაგვაყენა. ეს იყო საქართველოს გუნდის უძნელესი მატჩი ფინალურ ტურნირში. შეხვედრა ორ საათსა და ათ წუთს გაგრძელდა და დამთავრდა ჩვენი გამარჯვებით — 3:2 (15:12, 15:10, 9:15, 3:15, 15:6). ალბათ მიხვდებით, რა ჯაფა დაადგებოდათ ჩვენს ბიჭებს, რომლებმაც გადამწყვეტ მომენტში თავგანწირულად ითამაშეს და თითქმის უიმედო მატჩი მოიგეს. მეორე დღეს, დილით ფინალური შეხვედრა გვქონდა ოდესის ძალიან ძლიერ გუნდთან, რომელმაც წინა დღეს იოლად მოუგო ტალინელ სტუდენტებს — 3:0. მართალი გითხრათ, მასპინძლებთან სათამაშოდ სარბიელზე დიდად დაიმედებული არ გამოვსულვართ. ჯერ ერთი, ისინი, ჩვენზე ძლიერები არიან, მეორეც, ჩვენზე მეტი დრო ჰქონდათ დასვენებისთვის, მესამე — ისინი ხომ „საკუთარ კედლებში" თამაშობდნენ. მიუხედავად ყოველივე ამისა, ბიჭებს მაინც ვერ დავემდურები. ალბათ ანგარიშიდანაც კარგად გამოჩნდება, რომ საქართველოს წარმომადგენლებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ ძლიერი მეტოქის წინაშე და მხოლოდ მაშინ მოეშვნენ, როცა მესამე პარტია მოიგეს. წინა დღის მომქანცველი ბრძოლის შემდეგ. მათ მეტი აღარ შეეძლოთ. აი, როგორ დამთავრდა ეს მატჩი — 1:3 (6:15, 13:15, 15:5, 5:15). ამრიგად, ოდესელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს სტუდენტთა VII საკავშირო თამაშების ჩემპიონობა. II ადგილზე ჩვენ გავედით, ხოლო III ადგილისთვის ბრძოლაში მოსკოველებმა მოუგეს ტალინელებს — 3:1.

• • •

ოდესის ვაჟთა ტურნირის პარალელურად კიევში ჩატარდა ქალთა გუნდების ფინალური ასპარეზობა. თბილისელებმა საპატიო IV ადგილი მოიპოვეს. ეს უდავოდ წარმატებაა ჩვენი სპორტსმენებისა, რომლებსაც ცისანა აბუაშვილი და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი შოთა მარგიშვილი ამეცადინებენ.

დ. ჭელიძე.

ბანაკი ტბასთან

ბათუმის ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში დიდი გამოცოცხლებაა. აქ გახსნილია № 1 საქალაქო ბანაკი, სადაც შინაარსიანად, ხალისიანად ისვენებს 160 პიონერი. არიან ისეთებიც, რომლებმაც წინა ზაფხულიც აქ გაატარეს.

პიონერებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი, რომ გონივრულად დაისვენონ და ცოდნა გაიღრმავონ. ბევრი მათგანი ნორჩ ნატურალისტთა, ჭადრაკის, ფოტომოყვარულთა, მხატვრული კითხვისა და სხვა წრეების წევრია.

რაზმეულის სამუშაო გეგმაში საინტერესო საკითხებია გათვალისწინებული. პიონერები ეცნობიან ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ხვდებიან მოწინავე მუშებს. მათთან სტუმრად იყო სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ოპერატორი თ. დოლიძე. შეხვედრას უწყობენ გამოჩენილ სპორტსმენებსაც. შეხვდნენ ბათუმში მყოფ ივლანელ ფეხბურთელებს.

ბანაკში პრაქტიკას გადიან ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები. მოფლიო ჩემპიონი ტანვარჯიშში, სპორტის ოსტატი რ. სიხარულიძე ოქტომბრელთა რაზმის ხელმძღვანელია.

ბანაკის პიონერებს კიდევ ბევრი საინტერესო დღე ელით.

რ. ბოლქვაძე,
ბანაკის უფროსი.

• • •

სურათებზე: რ. სიხარულიძე პიონერებს შორის; დილის გამამხნევებელი ვარჯიში.

ა. ლოპატინას ფოტოები.

ახალი საზრუნავი

მონრეალი. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი წერს:

მონრეალის ოლიმპიური მასკარადი დამთავრდა. დადგა შედეგების შეჯამების დრო...

სტადიონები დაცარიელდა, თამაშების მონაწილენი და ტურისტები შინ დაბრუნდნენ. ახლა ყოფილი ოლიმპიური ბრძოლების სარბიელზე მუშები ტრიალებენ და ბაზებს უვლიან.

დღეს მონრეალისა და კვებეკის მთელი პროვინციის ხელმძღვანელობა სხვა საზრუნავითაა დაკავებული. სპორტულ ნაგებობათა მშენებლობამ 1.500000000 დოლარი შთანთქა.

მთავარი სტადიონის მშენებლობა 800 მილიონი დაჯდა, მაგრამ ძნელი საფიქრებელია, რომ ამიერიდან მის ტრიბუნებზე ოდესმე უწინდელი ხალხმრავლობა იყოს. მართალია, ამერიკის ფეხბურთელთა გუნდს „ელაუთსს" და მონრეალის ბეისბოლისტებს განზრახული აქვთ აქ თავიანთი ცენტრი შექმნან.

უნიკალური, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი სარბენი ბილიკები, სადაც სულ ახლახან ფენომენალური მსოფლიო რეკორდები დამყარდა, დავიწყებას მიეცემა. ამ მინდორზე ფეხბურთელთა პირველი მატჩის გამართვა სექტემბრისთვისაა განზრახული, მაგრამ 72 ათას მაყურებელს ალბათ ვერც ერთი გუნდი ვერ მოუყრის თავს.

ველოდრომი, რომლის მშენებლობაც 62 მილიონი დოლარი დაჯდა, შეიძლება უფრო სასარგებლო აღმოჩნდეს. იგი გამოყენებული იქნება საციგურაოდ ფიგურისტებისა და ჰოკეისტებისთვის. აქვე მოეწყობა სხვადასხვა სახის შოუ.

კანადის რადიოთი გადაცემულ ინტერვიუში მონრეალის მერმა ჟ. დრაპომ შენიშნა: „დაიწყო ახალი ერა და ჩვენ ახლა ისევე ვცხოვრობთ, როგორც ევროპელები მრავალი წლის წინათ. მათთვის სპორტი რეალობაა, რომელიც სრულიადაც არ ჰგავს შოუს".

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, ლორდმა კილანინმა პრეს-კონფერენციაზე თქვა, ეს თამაშები მეტისმეტად ძვირი დაჯდაო.

სპორტსმენებმა მონრეალი დიდი ხნით დატოვეს. ცოტა უფრო გვიან ოლიმპიურ სოფელში ახალი მობინადრენი გამოჩნდებიან. აქ ათასზე მეტი ოჯახი იყიდის ბინებს. ოფიციალურ შენობებში დაწესებულებები განლაგდება.

ათი საუკეთესო

ბელგრადი. (საკდესი). „პოლიტიკამ" გამოაქვეყნა სია იმ ათი სპორტსმენისა, რომელთაც, გაზეთის აზრით, მონრეალში უბრწყინვალეს შედეგებს მიაღწიეს. მათკენ „მიპყრობილი იყო მთელი მსოფლიოს, დედამიწის ხუთივე კონტინენტის ყურადღება".

„პოლიტიკამ" მონრეალის XXI საზაფხულო ოლიმპიური თამაშების ათ საუკეთესო სპორტსმენს შორის დაასახელა: ენდერი (გდრ), კომანეჩი (რუმინეთი), ნაბერი (აშშ), ანდრიანოვი (სსრ კავშირი), ვირენი (ფინეთი), ხუანტორენა (კუბა), კაზანკინა (სსრ კავშირი), სანეევი (სსრ კავშირი), შევინსკა (პოლონეთი), მონტგომერი (აშშ).

• • •

სურათზე: ტ. კაზანკინა.

ოლიმპიური სენსაციები

მონრეალი. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი პეტ როული აჯამებს ბალახის ჰოკეის ოსტატთა ოლიმპიური ტურნირის შედეგებს.

ახალი ზელანდიის გუნდმა მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა — მოიგო ოქროს მედლები, როცა ეს შეჯიბრება პირველად ჩატარდა ხელოვნურ საფარზე.

მსოფლიო თასის მფლობელი, შვიდგზის ოლიმპიური ჩემპიონი — ინდოეთის გუნდი საერთაშორისო შეჯიბრებებიდან უმედლოდ არასოდეს დაბრუნებულა, ახლა კი VII ადგილზე აღმოჩნდა.

1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონი — გფრ-ის გუნდი მეხუთე იყო. პაკისტანელები, რომლებიც 1952 წლიდან მუდამ მონაწილეობდნენ ოლიმპიური ასპარეზობის ფინალში, კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდნენ.

სპეციალისტებს დიდხანს ექნებათ მსჯელობა იმის შესახებ, მართლა ეცემა თუ არა ბალახის ჰოკეის საერთაშორისო დონე, წარმოადგენენ თუ არა ოკეანის ქვეყნები (ავსტრალიელებმა ვერცხლის ჯილდოები მოიპოვეს) ახალ ძალას, სინთეზური საფარის ბრალი ხომ არ არის ოლიმპიური ტურნირის ყველა უსიამოვნო მოულოდნელობა.

ყველა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი იქნება, სანამ არ ჩატარდება შემდეგი დიდი საერთაშორისო ტურნირი სინთეზურ საფარზე, ეს კი ალბათ 1980 წლამდე, მოსკოვის ოლიმპიადამდე არ მოხდება.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სწორედ ხელოვნურმა საფარმა გამოიწვია გუნდების თამაშის მნიშვნელოვანი ნიველირება.

ეს იყო ყველაზე თანაბარი ტურნირი ოლიმპიადების ისტორიაში. მატჩების უმეტესობაში გუნდებმა მცირე უპირატესობით გაიმარჯვეს. თვით ერთ-ერთმა ყველაზე სუსტმა გუნდმა, არგენტინის ნაკრებმაც კი შეძლო დაემარცხებინა ვერცხლის პრიზიორები, ავსტრალიელები.

ახალი ზელანდიის ოლიმპიელები ყველაზე უკეთ შეეჩვივნენ სინთეზურ საფარს. ამ ნაკრების წევრებმა მათთვის ახალ, უჩვეულო ვითარებაში მაღალი ოსტატობა გამოავლინეს, განსაკუთრებით ბურთისთვის ბრძოლაში. სხვა გუნდებმა სინთეზურ საფარზე თითქოს ყველა თავიანთი ჩვევა და უნარი დაკარგეს. ამავე დროს, ახალზელანდიელები მარჯვედ არღვევდნენ მეტოქის დაცვას.

ავსტრალიის ნაკრები თამაშობდა იმავე სტილით, როგორითაც ახალი ზელანდიის გუნდი. ფინალში მათი ბრძოლა დაახლოებით თანაბარი იყო. შეხვედრის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა.

მხოლოდ ოთხი წელი...

პარიზი. (საკდესი). სათაურით „ოთხი წელი მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებლად" საფრანგეთის სპორტული გაზეთი „ეკიპი" წერს:

მიუხედავად ყველა პესიმისტური და ნეგატიური კომენტარისა, რაც მონრეალის თამაშებთან დაკავშირებულმა პოლიტიკური ხასიათის მიზეზებმა გამოიწვია, უდავოა, რომ ოლიმპიადები კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

ახალი ზელანდიის წარმომადგენელ ჯონ უოკერის წარმატება ოლიმპიური პროგრამის ერთ-ერთ ბოლო სახეობაში სიმბოლურია. ესაა გამარჯვება იმ პატარა ქვეყნის დიდი სპორტსმენისა, რომელსაც ზოგიერთი უარსაც ეტყოდა ოლიმპიურ თამაშებში საასპარეზოდ დაშვებაზე.

ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს სსრ კავშირის, გდრ-ისა და აშშ-ს სპორტსმენებმა. დანარჩენი 38 ქვეყნის ათლეტებმა მხოლოდ ამ „მეფური ნადიმის" ნასუფრალი გაინაწილეს.

საფრანგეთმა 9 მედალი მოიგო მონრეალში და XIV ადგილი დაიკავა. ახლა გვრჩება მხოლოდ ოთხი წელი მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებლად...

რეკორდი

პოდოლსკი, 17 აგვისტო. აქ მოეწყო მძლეოსანთა შეჯიბრება „ესტაფეტების საკავშირო დღე". წარმატებით იასპარეზა ქალთა კვარტეტმა 4×800 მ ესტაფეტაში. სსრ კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლენინგრადელი ტატიანა პროვიდოხინა, ყარაგანდელი ვალენტინა გერასიმოვა, მოსკოველები სვეტლანა სტირკინა და ოლიმპიური ჩემპიონი, ლენინგრადელი ტატიანა კაზანკინა, მანძილი დაფარა 7 წუთსა და 52,3 წამში. ეს შედეგი 1,9 წამით უკეთესია ორი კვირის წინათ გდრ-ის ქალთა გუნდის მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდზე.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 13961